

ფეხბურთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 სექტემბერი ოთხშაბათი 2011
№ 228 (13525) ფასი 80 თეთრი

ქვეყანა
შესაქრებები
შეცვალა

ეროვნული
ბიზლიოთეკა

ბაბაიძე-მეცნიერი
სტალინი-მეცნიერი
კარგალიძე-მეცნიერი
სტალინი-მეცნიერი



გოგიას აგაპი ქართულად დასრულდა

გერმანიაში გაზრდილმა
ჩვენებურმა პოლიშიანი
უარი თანხმობით შეცვალა:
**ეროვნულ გუნდში
ვითამაშებო**

2

ვნასოთ, ჯაგის თუ შეიხვლება

ევროტიკლის ბოლო
შეხვედრა ბერძნებთან
მნიშვნელოვით
ბოლო არ იქნება



ბესიკ
ჯანაგაძე
პალმერსტონიდან

lariwin.com
the better way to play
**მეტი, ვიდრე
თავაში**

რეკორტაჟების
სკონსორცია
ონლაინ კაზინო
„ლარივინი“

ღღეს, 10:25 საქართველო-რუმინეთი



8

მსოფლიოს ჩემპიონები ორისთვის ქველი მეტოქეები ახალ ზელანდიაში

სიბი: რიჩი
ბაიერნს
კვილეგუნი



5



შვეიცარია 3:3
მანჩესტერი არია



● ტრავმა


სუთითიანი ჯაკი



„არსენალის“ და მისი თავკაცის, არსენ ვენგერის ანგნილი საქმეები კიდევ უფრო აინტერესებს — 19 წლის ინგლისელ ნახევარმცველ ჯეკ უილშირს ოპერაციის შემდეგ ხუთთვიანი დასვენება მოუწევს. უილშირმა მარჯვენა მუხლი სეზონის ნინ, მოსამზადებელ პერიოდში იტყინა. ახლა მას თებერვლამდე დრო გამოჯანმრთელებისთვის სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდა პრემიერლიგის ვერც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას.

უილშირის ოპერაცია სერიოზული დარტყმა იყო ინგლისის ნაკრების თავკაც ფაბიო კაპელოსთვისაც. ახლოვდება ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი, სადაც, იტალიელ მწვრთნელს, ნახევარდაცვის უილშირის გარშემო აწყობა ჰქონდა ჩაფიქრებული. რასაკვირველია, კაპელოს კიდევ შეუძლია ხორცი შეასხას თავის ჩანაფიქრს, მაგრამ ამისათვის გაზაფხულს უნდა დაელოდოს, როდესაც არსენალელი არა მხოლოდ გამოჯანმრთელდება, არამედ კარგ ფორმაშიც შევა.

● საფეხბურთო დეტალები



ბერბაგოვი ჯოჯოხეთში

პრემიერლიგის ბულგარელი ვარსკვლავი დიმიტარ ბერბაგოვი სახტად დარჩა, როდესაც პოლიციამ დააკავა კაცი, რომელიც, თურმე, დედამისის გატაცებას აპირებდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 30 წლის ფორვარდის დედას, მარგარიტას მიუვიდა მგილი, სადაც მას მავანი უცნობი ემუქრებოდა, რომ თუ ის დიდძალ თანხას არ გადაუხდოდა, გაიტაცებდა. აქ, საქმეში ანტი-მავიის სამსახურის პოლიციელები ჩაერივნენ, კვალს გაყენენ და დაიჭირეს 38 წლის პეტარ ანტონოვი. ანტონოვს პოლიციელებმა ბულგარეთში, მშობლიურ ქალაქ ბლაგოევგრადში მიაგნეს. ეს ბერბაგოვის მშობლიური ქალაქია. „იუნაიტედის“ ვარსკვლავი სწორედ აქ იზრდებოდა და მისი ყოფილი ხელბურთელი, დღეს 51 წლის დედა დღემდე იქ ცხოვრობს.

პეტარ ანტონოვის დაჭერაში მთავარი როლი, რასაკვირველია, ეგრეთწოდებულმა „ატიშინიკებმა“ ითამაშეს, რომელთაც ეჭვმიტანილის ბინის კომპიუტერი გამოთვალეს. შეგახსენებთ, რომ ბერბაგოვი, რომელიც „იუნაიტედში“ 2008 წელს, 31 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ გადავიდა, ბორიტომქმედთა თავდასხმის ობიექტი ადრეც ყოფილა. ამას, როგორც ჩანს, ხელს ისიც უწყობს, რომ ბულგარეთი გვარია და კრიმინალური ქვეყანაა. ასე მაგალითად, ორი წლის წინ ის სამშობლოდან გაიქცა, რადგან პოლიციელებმა გააფრთხილეს, რომ მისი მფუღლე, ელენა და ერთი წლის გოგონა, დეა საფრთხის წინაშე იდგნენ. მანამდე, როდესაც ბერბაგოვი ჯერ კიდევ 18 წლისა იყო და სოფლის ცსკა-ში ითამაშებდა, თავად ის გაიტაცა ადგილობრივმა კრიმინალმა,

რომელსაც უნდოდა თავდასხმელი ეიძულებინა მის გუნდში, კოუსტენდილის „ლევსკიში“ გადასულიყო.

ახლა პოლიციელები მარგარიტა ბერბაგოვის საქმეს სწავლობენ. ისინი ცდილობენ გამოიკვლიონ, რამდენად არის მისი გატაცების მცდელობა კავშირში პოლიტიკასთან. საქმე ის გახლავთ, რომ „იუნაიტედის“ ფორვარდის დედა პარტიის, „მოქალაქე ევროპული განვითარებისთვის“ აქტივისტია.

ბერბაგოვი, რომელიც ბავშვობაში სამოთახიან ბინაში იზრდებოდა, დედამისთან ძალიან ახლოს არის. მარგარიტა ამბობს: „მე დიმიტარით ძალიან ვამაყობ. ჩვენ მისი ყოველი თამაშის შემდეგ ვლაპარაკობთ. ის მეუბნება, რომ მსოფლიოში საუკეთესო დედა ვარ“.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ დიმიტარ ბერბაგოვის მამა, რომელიც ოდესღაც თავადაც ფეხბურთელი იყო, წლების წინ ჯგუფური გაუპატიურებისთვის დააპატიმრეს.

აქვე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის კრიმინალური ამბები, რომლებიც პრემიერლიგაში მოთამაშე, ღარიბი და განუვითარებელი ქვეყნების ფეხბურთელებს ბოლო ხანს გადახდათ. ამ ზაფხულს, ნიგერიაში, „ჩელსის“ ვარსკვლავის „ჯონ ობი მიკელის“ მამა გაიტაცეს, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ უვნებელი გაუშვეს. იმავე ნიგერიაში, „ვევტონის“ მცველის ჯოზეფ იობოს უფროსი ძმა 2008 წელს გაიტაცეს და ორ კვირაში გაათავისუფლეს. 2009 წელს კი ჰონდურასში ნამდვილი ტრაგედია დატრიალდა: „სტოკ სიტის“ ნახევარმცველის, უილსონ პალასიოსის 14 წლის ძმა ედვინი ჰონდურასში მკვდარი იპოვნეს.

● ჩაღსი



გორასი უილბლოვის ნინაღღა

27 წლის ესპანელმა ვარსკვლავმა, ფერნანდო ტორესმა დაუფარავად გამოხატა თავისი გრძობები „ჩელსის“ გატარებული უილბლო პერიოდთან დაკავშირებით — მოგვხსენებთ, წლის დასაწყისში, 50 მილიონ ფუნტად ნაყიდი თავდამსხმელი დიდხანს გოლის გატანას ვერ ახერხებდა.

„ელ ნინო“, რომელმაც პრემიერლიგის ბოლო შეხვედრაში, „სუონსი სიტის“ წინაღობა გოლიც გაიტანა, მაგრამ პირველი ტაიმის მინუტულს მოედინიდანაც გააგდეს, თქვა:

„ლივერპულიდან ლონდონში გადმოსვლის შემდეგ პირველი ნახევარი ნელმემატკვიართა თანადგომა ერთი წუთით არ მომკლებია. „ჩელსისთან“ კონტრაქტის ფაფორების პირველი დღიდან დღემდე, საქმარისა ფანებს შევხვედრე ქუჩაში ან კაფეში, რომ ვხედავ, რამხელა ძალა მიდგას მხარში“.

„სტემფორდ ბრიჯზე“, პირველი ითხის განმავლობაში ტორესმა მხოლოდ ერთი გოლის შეგდება მოახერხა, თუმცა ბოლო დროს, თითქოს, ყველაფერი კარგად მიდის — ესპანელმა ზედიზედ ორ თამაშში გაიტანა. ტორესმა დასძინა:

„ძალიან მიხარია გოლების გატანა რომ დავინყე. ეს, უბრუნელეს ყოვლისა ფანების გულს ახარებს. როდესაც პირველი დღიდან ყველაფერი კარგად მიდის, გოლები გავაქვს და წარმატებას აღწევ, გულშემატკივრისთვის შენი შეყვარება და მხარდაჭერა ძალიან ადვილია. ჩემს შემთხვევაში ასე არ იყო. ქომაგებმა დიდსულოვნება გამოამყლავნეს“.

ტორესი ამბობს, რომ ის მხარდაჭერას განსაკუთრებით მაშინ გრძნობს, როდესაც შინიდან სტადიონისკენ მიდის ან პირიქით, „სტემფორდ ბრიჯიდან“ შინ ბრუნდება. საქმე ის გახლავთ, რომ ესპანელმა, ლონდონში, სახლი „ჩელსის“ სტადიონთან ახლოს შეიძინა. ის ამბობს:

„ინგლისში, განსაკუთრებით კი „ჩელსისში“ თამაში ესპანეთში თამაშისგან ძალიან განსხვავდება. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ხალხისთვის თამაშობ და გრძნობ, რომ ისინი ამას გიფასებენ. მე სტადიონთან ახლოს ვცხოვრობ და ვხედავ, როგორ ელოდებიან გულშემატკივრები ფეხბურთელების გამოჩენას. ვფიქრობ, მომავალში ჩემი სახლიდან გამოსვლა უფრო და უფრო ძნელი იქნება“.

ჩახმა გონება დაქარბა

„ჩელსის“ ჩეს მეკარეს, პეტრ ჩეხს ეჭვი გაუჩნდა, რომ თავის ქალის კიდევ ერთი სერიოზული დაზიანება მიიღო — 29 წლის გოლიკებრმა გასულ კვირას, გასახდელში გონება დაქარბა. ეს „ქარლინგის თასზე“ „ფულჰემთან“ შეხვედრისას მოხდა. ჩეხი მეტოქის თავდამსხმელ ორლანდო სანს შეეჯახა და პრობლემატკვიარად ამის შემდეგ იჩინა თავი. მას მერე, რაც გონი დაქარბა ჩეხი სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, სადაც ის ნევიროლოგებმა გასინჯეს. ინციდენტმა ფეხბურთელს ის საშინელი პერიოდი გაახსენა, როდესაც 2006 წლის ოქტომბერში, „რედინგის“ სტივენ ჰანტთან შეჯახების შემდეგ იტალიური ოპერაციის გადატანა მოუხდა და მას მერე თავის დამცავი ქუდი თამაშობს. გოლიკებრი ამბობს, რომ სასთან შეჯახების ეპიზოდში მას სწორედ ქუდმა უშველა.

ჩეხმა თქვა: „ზუსტად ისეთი რამ მომივიდა მოკრივეებს მარჯვენა ჰუკის დროს რომ მოხდით. ტვინი შექანდა. ვფიქრობ, გამიმართლა ქუდი რომ მეხურა. დარტყმა, ძირითადად, სწორედ ქუდმა მიიღო და ამიტომაც, ფიზიოთერაპიის შემდეგ კარგად ვახედი. ის კი არა, პირველი ტაიმის პოლო ორი წუთის განმავლობაში მოედანზე დაბრუნება და თამაშიც კი შევედი. სამედიკოდ, შესვენებისას, გასახდელში შესულმა ვიგრძენი, რომ რაღაც ვერ იყო კარგად. რომ დავჯექი, ვიგრძენი, რომ ვეღარ ვდგებოდი. შემდეგ მხედველობა გამიუარესდა და გარშემო სივრცის შეგრძნება დაკარგე. თამაშის გავრძელებაზე ლაპარაკი ვეღარ ვხედავ“.



იყო. გასახდელიდან პირდაპირ საავადმყოფოში გამაქანეს, სადაც სკანირება ჩამიტარეს. მე ისეთი ავადმყოფობის ისტორია მაქვს, რომ ექიმები, რასაკვირველია ვალდებული იყვნენ შეემოწმებინათ თავის ქალის ქვეშ ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მეორე დღით თავი მტკიოდა, მაგრამ პარასკევს უკვე ვივარჯიშე, ხოლო შაბათს „სუონსის“ წინააღმდეგ ვითამაშე კიდევ“.

გვირდი მოუბადა ილია ბაპუნაშვილი



Lariwin.com
the better way to play

რეპორტაჟების სკონსორი
ონლაინ კაზინო „ლარივინი“

**მეტი, ვიდრე
თამაში**

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ბასიკ ჯანაშვილი კალმარსტონიდან

რაგბი. მსოფლიოს თასი



დღეს ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში ერთი შეხვედრაა. B გრუპში ერთმანეთს კარგი ნაცნობები, საქართველოსა და რუმინეთის ეროვნული ნაკრებები ეთამაშებიან. მთლიანი სარაგბო სამყაროს ყურადღება სწორედ ამ მატჩისკენ იქცევა მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასრულება უკვე მოხდა.

თუმცა, გუმინ, კაპიტნის ვარჯიშის შემდეგ გამართულ ტრადიციულ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების დიდი რიგი არ დამდგარა. რატომღაც, არათუ უცხოელ, ადგილობრივ ჟურნალისტებსაც არ გამოუჩინათ დიდი ინტერესი. ასე რომ, პრესკონფერენციაზე უმრავლესობაში ვიყავით.

პრესკონფერენციაზე "ბორჯღალოსანთა" თავკაცმა რიჩი დიქსონმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ შეხვედრის მნიშვნელობას. თამაში რთული და დაძაბული რომ იქნება, ამაში ყველა თანხმდება. გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერით სჭირდება. რუმინელებისთვის ეს მატჩი ახალ ზელანდიაში ბოლოა და, შესაბამისად, "სტეფარის" ბოლო მანსი აქვს, შინ ზელმითარული არ დაბრუნდება.

საქართველოს ნაკრები კი, რომელიც საერთო აღიარებით რუმინელებზე და,

საერთოდ, განვითარებულ სარაგბო ქვეყნების ნაკრებებს შორის ყველაზე უკეთ გამოიყურება, ბოლო შეხვედრას 2 ოქტომბერს პალმერსტონშივე გამართავს არგენტინის ეროვნულ გუნდთან.

სტადიონიდან სასტუმროში მიბრუნებულ "ბორჯღალოსნებს" საქართველოდან ჩამოსული სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** და მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური** დახვდათ.

ლადო ვარძელაშვილი:
"დარწმუნებული ვარ, რუმინეთის ნაკრებთან მატჩში აუცილებლად გაიმარჯვებთ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა გავიგეთ ჯგუფში რა ძლიერი მეტოქეებიც შეგვხვდა, კარგად ვიცოდით, რომ ძალიან გავიჭირდებოდა. თუმცა, განვლილმა ორმა თამაშმა ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებთან გვაჩვენა, რომ საქართველოში რაგბი წინ წავიდა. ეს რამდენიმე ფაქტორებს სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს და კერძო სექტორიც დიდ დახმარებას უწევს, ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, უფრო მოტივირებული გახდნენ მორაგბეები და ამასთან, ნაკრების მწვრთნელიც ძალიან კარგი გვყავს.

გეუფე შიო: თქვენ უნდა იყოთ სიბოლო პრის სიძლიერისა და გამარჯვებისა

ყოველივე ამან მოგვცა ის, რომ დღეს მსოფლიომ დაინახა, რა დიდი მომავალი აქვს ქართულ რაგბის. რაც შეეხება კონკრეტულად რუმინეთთან თამაშს, რთული ბრძოლა გველის. რუმინეთის ნაკრები არ არის ხელნაშოსკრავი გუნდი. ურთიერთშეხვედრების სტატისტიკასაც თუ გადავხედავთ, უპირატესობა მათ აქვთ. 12 თამაშიდან შვიდში გვაჯობებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ აუცილებლად მოვიგებთ.

დავით ნამგალაური:
"რუმინეთის ნაკრები ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია, მაგრამ ის ყველაზე უხერხული მეტოქე იყო ერთა თასის გათამაშებაში. ბოლო წლებში მათთან ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი გვაქვს. თუმცა რუმინელებთან ყოველთვის რთული, მძიმე ბრძოლები გვექონდა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გამარჯვება მოიპოვონ და ბოლო, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მატჩს არგენტინის ნაკრებთან უფრო მოტივირებულნი შეხვდნენ."

ოდნავ მოგვიანებით "ბორჯღალოსნებს" კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ. მათ საქომადოდ ბიზნესმენ **ლევან ვასაძესთან** ერთად პალმერსტონში **გეუფე შიო** ჩამოვიდა, რომელიც საქართველოს პატრიარქის **ილია მეორეს** კურთხევით ახლახან ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში მცხოვრები ქართველების მოძღვარია.

შეხვედრაზე, რომელმაც გუშინდელი საინტერესო დღე დაასრულა, ლევან ვასაძემ შვილის, ირაკლის "ბორჯღალოს-

ნებისადმი" მიძღვნილი წერილი წაიკითხა.

მეუფე შიომ კი ქართველ მორაგბეებს შეახსენა, რომ მათი შეხვედრა ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა:

"ქართველი ხალხი თქვენგან მხოლოდ სპორტულ გამარჯვებას როდი ელოდება. წინა ორი თამაშშიც, მიუხედავად მარცხისა, თქვენი მონდომებიდან და იქიდან გამომდინარე, რაც თქვენ გააკეთეთ, გამარჯვების ტოლფასი იყო. ამას ყველა აღიარებს.

მოდით, ის თამაშები, რომლებსაც მსოფლიოს თასზე ატარებთ, იყოს დასაწყისი დიდი იმედისა, საქართველოს გამარჯვებისა და წინსვლისა.

თქვენგან ყველა ელოდება, რომ გახდეთ ჩვენი ერის გამარჯვებისა და ძლიერების სიმბოლო." – უთხრა მან "ბორჯღალოსნებს".

შეხვედრის დასასრულს ლევან ვასაძემ საქართველოს ნაკრების მორაგბეებს სთხოვა, "ზულიგანას" ბავშვთა გუნდის მორაგბეების მიერ გამოგზავნილი ინგლისის ნაკრების კვარტზე, რომელზეც ეწერა "შემდეგ მატჩში ჩვენ მოვიგებთ!", ავტოგრაფები დაეტოვებინათ, რაც, ცხადია, "ბორჯღალოსნებს" სიამოვნებით გააკეთეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების დაპირისპირება დღეს, თბილისის დროით 10 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვიციანი, 9. ირაკლი აბუსერიძე, 1. დავით ხინჩიანი, 2. ვაზა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.
16. გოდერძი შველიძე, 17. ვასილ კაკოვინი, 18. ლევან დათუნაშვილი, 19. გივი ბერიძე, 20. ბიძინა საშხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მალხაზ ურუჯაშვილი.
- რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაშვილი, 14. სტეფან ჩუნტუ, 13. ჩაბა გალი, 12. იონუც დომოუტე, 11. მადალინ ლემნარუ, 10. დანუც დუმბრავე, 9. ფლორინ სურუჯუ, 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პაულიკა იონი, 4. ვალენტინ ურსაკე, 5. კრისტინ პეტრე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. ოვიდიუ ტონიცი, 8. დანიელ კარპო.
16. ბოგდან ზებეა, 17. სილვიუ ფლორუა, 18. ვალენტინ პოპოლანი, 19. დანიელ იანუსი, 20. ვალენტინ ნიკოლაე, 21. კონსტანტინ გეარა, 22. ფლორინ ვლაიკუ.
- B ჯგუფი**
საბარნიო მდგომარეობა
1. ინგლისი – 14 ქულა, 2. არგენტინა – 10, 3. შოტლანდია – 10, 4. საქართველო – 0, 5. რუმინეთი – 0.
- 1 ოქტომბერი**
ინგლისი-შოტლანდია
2 ოქტომბერი
საბარნიო მდგომარეობა
A ჯგუფი
კანადა-იაპონია 23:23
საბარნიო მდგომარეობა
1. ახალი ზელანდია – 15 ქულა, 2. საფრანგეთი – 10, 3. კანადა – 6, 4. ტონგა – 5, 5. იაპონია – 2.
- C ჯგუფი**
იტალია-აშშ 27:10
საბარნიო მდგომარეობა
1. ირლანდია – 13 ქულა, 2. ავსტრალია – 10, 3. იტალია – 10, 4. აშშ – 4, 5. რუსეთი – 1.

მეტი ვიდრე თამაში

Lariwin.com

15 000 ლარის ფულადი პრიზი

რატომ LariWin.com?

- უსაფრთხო პროგრამული უზრუნველყოფა
- 50 ლარიანი პაკეტი ყველა მოთამაშეს
- უნიკალური VIP კლუბი
- 5 000 ლარიანი ქულების რბოლა
- 40-მდე კაზინოს თამაში

the better way to play
www.lariwin.com

laripoker.com laricasino.com

დოლარენი

დოლარენი ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი!

დოლარენის ძალა აპარსებებს ყველაწარმოების ტკივილს!

საზავური ტკივილი
თავის ტკივილი
მენსტრუალური ტკივილი
სანსკრაბის ტკივილი
ნეურალგია
რევმატოიდური ართრიტი
რადიკულიტი
ოსტეოართროზი
კბილის ტკივილი

Доларен
Знеболіацни, противналгични тель

Доларен 50r

გამოყენების წესი: ნაწილობრივ ინსტრუქციას, ბავშვებთან მუშაობისას უნდა იყოს დამატებითი ინსტრუქციები. მოხარული ვართ დაგეგმილად დაგეგმილად დაგეგმილად დაგეგმილად.

სანქსიები



ინგლისსა და სანქსიებს დასჯიან და სანქსიებს დასჯიან

ინგლისის ნაკრები შესაძლოა დაისაჯოს. "პომპისა" და რუმინეთის ნაკრებების დაპირისპირებისას, ინგლისელთა მგზავმა ჯონი ვილკინსონმა საჯარო-მოს დარტყმის წინ ორჯერ შეცვალა ბურთი, რაც თამაშის წესების უხეშ დარღვევაა.

IRB-ს თამაშის წესების 9.8.1 მუხლის მიხედვით, დამრტყმელმა საჯარო-რიმო და გარდასახვა იმავე ბურთით უნდა დაარტყას, რომლითაც იმ მომენტში თამაში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ შესვენებისას მატჩის კომისარმა ინგლისელები მკაცრად გააფრთხილა აღნიშნულის შესახებ, ვილკინსონმა იგივე დარღვევა კიდევ ერთხელ გაიმეორა.

"ერთ-ერთი ბურთი ოდნავ მცირე ზომის იყო და ვილკინსონმა სწორედ ამიტომ სურდა მისი გამოცვლა. ასეთი ფაქტები იშვიათად ნამდვილად არ ხდება" - თქვა "პომპის" მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ჯონსონმა.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, როგორც ჩანს ინგლისის ნაკრები საჯარო-რიმო სანქციებს ვერ გადაურჩება.

"ჩვენ ყველა დეტალს დანერგებით განვიხილავთ, ყველას ყურადღებით მოვუსმენთ, თუმცა ვეჭვობ, ორგანიზაციურებს დაეშვათ შეუსაბამო ზომისა და ფორმის ბურთით თამაში" - თქვა სადისციპლინო კომიტეტის პრეზიდენტმა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელებმა ერთი სიტყვიერი გაფრთხილება უკვე მიიღეს, იმის გამო, რომ პირველ მატჩში არგენტინის ნაკრებთან მათ კვარტებს ნომრები აძერა.

სადისციპლინო კომიტეტი ინგლისის ნაკრების საკითხთან ერთად რუსეთის ნაკრების შერევის კვატის, ვალერი ცნობილადის დასჯის შესახებაც იმსჯელებს. ცნობილადემ რუსეთისა და ირლანდიის ნაკრებების დაპირისპირებისას მეტოქის მოთამაშეს თავი ჩაარტყა. ის, სავარაუდოდ, მომდევნო მატჩს გამოტოვებს, რომელშიც რუსები ავსტრალიის ეროვნულ გუნდს ეთამაშებიან.

კრიკი

ქართველები უღანაკაშიში განაგრძობენ ბრძოლას

ბაქოში გრძელდება მოკრივეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც პლანეტის უძლიერესი ათლეტები მედლებთან ერთად ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვისაც იბრძვიან. ასპარეზობის მეორე დღეც ჩვენი მოკრივეებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა: 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში სვერიან ჭილაძემ პირველი წრის შეხვედრა ირანელ იმან ტაიბის 14:10 მოუგო და 2 ოქტომბერს უძლიერეს უელსელ ენდრიუ სელბის (ტურნირზე მე-10 ნომრადაა განთესილი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ ეგვიპტელ შუჰამ აბდელაჟალს იოლად სძლია - 28:16.

შეგახსენებთ, რომ მეჯიბრების პირველ დღეს ავთანდილ ჭუბაბრიამ (49) ვაჰიმ კირილენკა (ბელარუსი) დაამარცხა - 9:7, დავით გოგიშვილმა კი რაინ კარლსონს (ესტონეთი) 13:7 აჯობა.

დღეს რინგზე კიდევ ორი ქართველი გავა: ნუ კილოში გიორგი კილანავა ავსტრიელ ლუკ ბოიდის შეხვედრა, ხოლო 81

კილოში ლევან გულედანი ყაზახ ჩინგიზ ბორბაშევს გაუწევს მეტოქეობას.

დანარჩენ ჩვენებურთა პირველი წრის პაექრობების გრაფიკი ასეთია: 29 სექტემბერი. ზაალ კვაჭატაძე (69)-ილიას აბაი (ალჟირი), მიხეილ ბახტიძე (+91)-პრემისლავ დიმოვსკი (მაკედონია). 30 სექტემბერი. კობა ფხაკაძე (64)-მიხეილ ამო ბედიაკო (განა). 1 ოქტომბერი. ნიკოლოზ იზორია (60)-მიკლოშ ვარგა (უნგრეთი), ჯაბა ხოსიტაშვილი (75)-სურეე პრასადინფინალი (ტაილანდი).



ვაჟა დანელია

ქადრაკი

მაკამ 2 ქულით დაასრულა

გუშინ ქადრაკის სასახლეში მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად სამთა ორნორიანი შეჯიბრების მე-5 ტურში მაკამ ფურცელაძისა და ნინო ბაციაშვილის დაპირისპირება დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ფურცელაძემ ასპარეზობა 2 ქულით დაასრულა. დღეს ბაციაშვილი და სალომე მელია გაარკვევენ ურთიერთობას. მათ



შორის გამარჯვებული ნაკრებთან ერთად საბერძნეთში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გაემგზავრება, ყაიმის შემთხვევაში ნაკრების მე-5 ნევრს ტაიბრეიკები გამოავლენს: მეტოქეები სწრაფ ქადრაკში (25-25-წუთიანი პარტიები ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით) ორ-ორჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ვაჟა დანელია

გიმიშოვარა და მიკა ლიდარობან

სლოვენიაში მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გუშინ მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. ქალებში ისევ წარმატებით ითამაშა ნანა ძაგნიძისა და ლელა ჯავახიშვილის (გუშინ ისვენებდა) „ტიმიშოვარამ“. რუმინელთა კლუბმა მშრალი ანგარიშით - 4:0 დაამარცხა ოსლოელები, რომელმაც წინა ტურში უბრძოლველად ჩაინერეს 2 ქულა, რადგან შეჯიბრებაში 11 გუნდი მონაწილეობს. ძაგნიძემ თეთრი ფიგურებით სიღვია იონსენს აჯობა. დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: მარი ფრენკ-ნიელსენი-ანა ზატონსკიხი 0:1, ქრისტინა-ადელა ფოიშორი-იერაზიკ ხაჩატურიანი 1:0, ელისივ რეპენი-ანასტასია ბოდნარუკი 0:1.

წარმატებით ითამაშა ერენის „მიკამაც“. ჩვენმა მეზობლებმა მოსკოველებს სძლიეს 2,5:1,5. მომგებიანი ქულა სომხებს ინდოელმა შარია დრონავალიმ მოუტანა. „ტიმიშოვარამ“ (10,5) და „მიკამ“ (10) სამი ტურის შემდეგ ექვსეულს ქულას მოუყარეს თავი და პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ.

ვაჟთა ტურნირზე უკრაინის „ა დან ღზოს“ შემადგენლობაში გუშინ პირველად გამოჩნდა ბაადურ ჯობავა. ქართველმა დიდოსტატმა შავი ფიგურებით ბორის გელფანდთან წააგო, მისი გუნდი კი მოსკოველებთან 1,5:4,5 დამარცხდა.

ვაჟა დანელია

Advertisement for GHouse real estate. Includes text: 'გაყიდება ბინები და ეომეხსოვლი ფაქტები თბილისში, გუბაშვილის გამზიხზე, იაფად, 12 თვიანი უმსოვნელო განვადებით, დასრული შენობა-ნაგებობა'. Contact info: www.ghouse.ge, info@ghouse.ge.

Advertisement for window frames. Text: 'კომპანია ალბატროსი ფიჩა COMMERLING-ის და SALAMANDER-ის ოფისიანუხი ეისხიხუბოხი სუახითველოში'. 'მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები'. 'სამაბი შუაით, მხოლოდ ჩვენთან'. 'თალაბი, ვიტრაჟები, შინა-პაპებები'. 'ფარები: თათრი, წაბლის ტექსტურით, მარაგონი, წითელი სე და კაპალი, NUSSBAUM'. 'ჩვენი უმოქმედი 5-პაპეხიანი 76 მმ სამონსაეო სისქით'. 'მის: წარითლის 141 (M „დილაის“ კვარლით)'. '35 47 47; 34 49 40; 599 90 20 91; 599 30 22 90; ფაქსი: 35 13 13'.

ქართული სპორტი

ფიგურული სკიპარობა

ელენას სასტარტო პერსონალი

ობარსლორფში მოსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 22 წარმომადგენელი ჩაება მოციგურავეთა საერთაშორისო ფედერაციის კალენდრით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში, რომელიც 43-ედ გაიმართა...



აქეთ დამუშავებული, ეს სისტემა ჩვენც მოგვინდის და, როგორც აღვნიშნე, კანადოში ვარჯიშმა გედევანიშვილსაც არგო.

გერმანიაში გამართულ შეჯიბრებას ესწრებოდა საქართველოს ფიგურული ციკლოარობის ფედერაციის პრეზიდენტი მკვა გიორგიბანი, რომელმაც შობებქილებები გაგვიზიარა:

გერმანიაში გამართულ შეჯიბრებას ესწრებოდა საქართველოს ფიგურული ციკლოარობის ფედერაციის პრეზიდენტი მკვა გიორგიბანი, რომელმაც შობებქილებები გაგვიზიარა:

ვაჟა ღანელია

ჭიდაობა

ნარტოხაული ლიხანუბის მოსაპოვებლად

დახმარებას რომ არ ვთხოვთ, ესაც აღიზიანებთ

ყველასათვის მოულოდნელად, ახლახან დასრულებულ მოსოფლიოს ჩემპიონატზე სტამბოლში, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პერსპექტიული წევრი ლადო ხინჩევაშვილი (55 კგ) უმედლოდ და...

ლადა, მოსოფლიოს ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყო, პირველ სამ შეხვედრაში მეტოქეები ქულების საერთო სხვაობით 3:0 ი ჩამოიცილეს გზიდან...

ლადა, დორტმუნდშიც პირველი ორი დაპირისპირება ალბანელ ფლორიან რეხსთან და შვეიცარიელ ურს ვილდთან საერთო ანგარიშით 24:0 დავასრულე. არ ვფიქრობ, ორივე შეჯიბრებაზე სტარტზევე დავიცალო ვენერგისგან...

არ ვიცი, რა დასკვნები უნდა გამოვიტანა. თითქოს სტილის ცვლილებაც არ შემინიშნავს. ფაქტობრივად, მეორე რაუნდის ბოლო ოთხ წამამდე ბულგარულმა საერთოდ ვერაფერი მომიხერხა...

ს. ხინჩევაშვილი: - პარადოქსია, რომ მსაჯებმა პროტესტი ტაბლოს დროით არ განიხილეს. თუმცა ამას კიდევ რა უშავს, სხვა შეჯიბრებებშიც ქართველთა არაერთხელ გამამწარებელმა, ბულგარელმა მსაჯებმა კოორდინატორმა იანიჩო კოსტადინოვმა, ხინჩევაშვილი - ველი...

კოვის შეხვედრის დასრულების მერე მასთან პროტესტის გამოთქმისას დაუფარავად მიპასუხა: აბა როგორ გინდა, როცა ბულგარელი ჭიდაობს, თქვენსას მოვავებინო? თუ გინდა ირანულ რაპიტთან ხინჩევაშვილის შეხვედრაში მოგეხმარებო... ამის მთქმელს რა უნდა არბიტრად, ვინ ამისხნის?! ჩვენ რომ არავისთან ვითხოვეთ დახმარებას და არ ვერთვებით ბინძურ გარიგებებში, ალბად ესეც აღიზიანებთ!

პირველი პერიოდი მოვეუგე, მეორეს 0:1-ს ვავებდი და ათოდ წამით ადრე ორქულაინი გდება შევესრულე...


პირველი პერიოდიც მოვეუგე და მეორის მიწურულშიც 2:0 გამარცხებდი. ბოლო მომგებიანი ორქულაინი სწორედ ამ დროს გამიკეთა...

იყო მოსაზრება, რომ ჯობდა მოსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გამოგვტოვებინა, რათა სტამბოლში დიდებს შორის მთელი ჩემპიონატი კარგად გეჭიდავა...

ს. ხინჩევაშვილი: - აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ თუ პირველივე შეჯიბრებაზე, მაგალითად, ბულგარეთში ლადომ მიიღო ლონდონის საგზური, მომდევნო ტურნირებზე ასაპრეზობა აღარ დასჭირდება...

სრულიად საკმარისი იყო ძალების აღსადგენად. მეტიც, ახალგაზრდებში ევროპა და მოსოფლიოს ჩემპიონატებს შორის ათდღიანი შუალედიც კი მყოფნიდა ხოლმე...

საბოლოოდ, წლეწიწი სეზონი შენთვის ალბათ მაინც წარმატებულად უნდა მიიჩნიოთ... (ცხადია, ძალიან გამახარა ზაფხულში, ერთ თვეში ახალგაზრდებს შორის ზედიზედ მოპოვებულმა ევროპის და მოსოფლიოს ჩემპიონობამ...



ხინჩევაშვილმა ველიკოვი ზურზე მოიგო

ქონტაქტები

აფრიკელი სამხიგებო საქართველოში

ამ დღეებში სამხოს ეროვნულ ფედერაციას აფრიკიდან ეწვივნენ სტუმრები, რომლებსაც ოთხი სპორტსმენის ჩამოყვანა სურთ ვინედიდან და მალიდან...

მარცხნიდან გვიჩვენებს და მალის სამხოს ასოციაციის წევრი ემანუელ მარტინსი (მალი), საქართველოს სამხოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თეიმურაზ გიორგაძე, გვინებისა და მალის სამხოს ასოციაციის პრეზიდენტი მოუსა სოუმარე და საქართველოს სამხოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით ხაჩიძე.

გაბრიელ ბარჯაძე



როგორაი

თელავი კალას იპრებს

გუშინ თელავში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50 000\$) საბოლოოდ გამოვლინდა ერთი კვირის მძიმე ბადის ოცდაათორმეტივე მონაწილე. ქართველთაგან მთავარი პრიზისთვის სოფიო შაფათავა, მარგალიტა ჩახნაშვილი (იგი მე-6 ნომრადა განთესილი), თათია მიქაძე და ეკატერინე გორგოძე იბრძოლებენ...

გე-სლოვაკეთი) - 6:1, 7:5, ირინა ბურიაჩოკი (უკრაინა), რეკა-ლეკა იანი (უნგრეთი)-ნათელა ძალამიძე (რუსეთი), ელიზა-ვეტა იანჩუკი (უკრაინა) - 6:4, 6:1, კორინა დენტონი (იტალია), მელანი კლაფერი (ავსტრალია)-ნათია გეგია, ანა ჯიქია (ორი-ვე-საქართველო) - 6:0, 6:1, ანდრეა კოჩ-ბენევენუო (ჩილე), პოლინა პეხოვა (ბელარუსი)-თონა ტატიშვილი, მარგალიტა ციციანი (ორივე-საქართველო) - 6:0, 6:0.

ვასილ ბაღაზაძე გორიდან

როგორც... ტურნირები

ჩაპორონა ნაბებით დაიწყო

ქალთა რეიტინგის ლიდერები ამერიკის ლია პირველობის შემდეგ შევსებულიდან გამოვიდნენ და ტოკიოში უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. გუშინ იქ მერვედფინალისტი გამოვლინდნენ.

ტოკიოს ლია ჩემპიონატი ყოველთვის მიეკუთვნებოდა WTA-ის ტურის მსხვილ ტურნირებს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მას გასულ წელს მიენიჭა, როცა აზიური სერიის ერთ-ერთ უდიდეს შეჯიბრებად გამოაცხადეს. მომავალ კვირას პეკინში გასამართ ტურნირს გაცილებით მეტი საპრიზო ფონდი აქვს და იქ მეტ სარიტინგო ქულასაც არიგებენ, მაგრამ შემადგენლობები იაპონიისა და ჩინეთის დედაქალაქებში თითქმის თანაბარია.

უფრო სწორად, ასე იყო გასულ წელს, ამჯერად კი ტოკიოს ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი დააკლდა - სერენა და ვენუს უილიამსები, კიმ კლაისტერსი, ნა ლი, ანდრეა პეტკოვიჩი, იანინა ვიკმაიერი, ფრანჩესკა სკიავონე, სეტიანა ლიპონე, საბინა ლისიცი...

ამის მიზეზი ცნობილი მინისებრა და ტუნამია, რასაც ატომური სადგურის აფეთქება მოჰყვა. ჩოგბურთელები რადიაციულმა ფონმა შეაშინა.

განთავსდა ჩოგბურთელები მეორე წრიდან ჩაებნენ ბრძოლაში. მათ შორის მსწრაფი სახალი მეორე ჩოგანი, რუსი მარია შარაპოვა, რომელიც ტილანდელ ვეტერანს ტამარინე ტანასუგარს სჯედბოდა.

პირველი სეტის სტარტზე გაკეთებული ბრევით რუსმა თავიდანვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და სეტი ითლად მოიგო - 6:2. მეორე პარტიის დასაწყისი პირველის ანალოგიური აღმოჩნდა - შარაპოვამ 3:0 წაიყვანა ანგარიში, თუმცა მეტოქეც გააქტიურდა და მომდევნო შეიდა გეომიდან ხუთი თავის სასარგებლოდ დასარულა. 5:5-ზე მარია აღარ მიიყვანა საქმე ტაი-ბრეიკამდე და ზედიზედ ორი გეომის აღებით მესამე წრის საგზური მოიპოვა.

პირველ დღეს არც სხვა განთესილ ჩოგბურთელებს ჰქონიათ პრობლემა, თუმცა ზოგიერთს რთული ბრძოლის გადატანამ მოუწია რანგით დაბალ მეტოქეებთან. მაგალითად, 26 წლის ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ მეორე სეტი მშრალი ანგარიშით წააგო 21 წლის მასპინძელ აიუმი მორიტასთან, თუმცა პირველ და მესამე სეტებში ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოიგო და ამის ხარჯზე გააღწია მერვედფინალში.

ჩოგბურთელებმა 5-5 ბრეიკი გააკეთეს, ამასთან, ბარტოლიმ რვა ორმაგი შეცდომა დაუშვა და ვერც ერთი ეისი ვერ ჩაანოდა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ამ ჩოგბურთელთა რიგით მეექვსე შეხვედრა და ექვსეჯერ გამარჯვება ბარტოლის დარჩა.

ყველაზე იოლ გამარჯვებას მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ანა ივანოვიჩმა მიიღწია. სერბმა ექვსჯერ აიღო ავსტრალიელი ანასტასია როდინოვას მონოდებაზე გეომი, თავად კი მხოლოდ ორი ბრეიკი გააკეთებინა მეტოქეს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ერთსაათიან ბრძოლაში ასეთ ანგარიშში გამოისახა - 6:4, 6:0 ივანოვიჩის სასარგებლოდ. ანასთისის ერთადერთი სუსტი წერტილი მონოდება იყო, რადგან ექვსი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ერთი ეისი გააკეთა. გუშინ კი ანამ მეორე მატჩიც მოიგო, ოღონდ უფრო მეტი ენერჯია დახარჯა ლორა რობსონის დასამარცხებლად - 7:5, 6:4.

გუშინ, მეორე წრეში მთავარი სენსაცია მოხდა. ალბათ, ყველას ახსოვს ამერიკის ლია პირველობაზე ავსტრალიელი სამანტა სტოსურისა და რუსი მარია კირილენკოს დრამატული მატჩი ისტორიული ტაი-ბრეიკით, რომელიც კირილენკომ მოიგო - 17:15, მაგრამ შეხვედრა ავსტრალიელის სასარგებლოდ დასრულდა.

სამანტა ამერიკის ლიაზე ტრიუმფის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა. წელს დიდი სლემის ტურნირის მოგება და შემდეგ წარმატების განვრცობა პრობლემა გახდა - ნა ლი და პეტრა კვიტოვა შესაბამისად როლან გაროსისა და უიმბლდონის მოგების შემდეგ კრიზისის განიცდიან. როგორც ჩანს, ახლა სტოსურის ჯერიც.


ავსტრალიელმა შეხვედრა არასტაბილურად დაიწყო. დროდადრო ლამაზი დარტემები გამოსდიოდა, მაგრამ საერთო ჯამში, ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. კირილენკო კი დამაჯერებლად გამოიყურებოდა, საჭირო დროს თამაშს ამწვავებდა და 2:2-ის შემდეგ ზედიზედ ოთხი გეომი მოიგო.

მეორე პარტიის საწყისი ნაწილი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. რუსი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა პირველი მონოდებისა და საკუთარ გეომებში თითოეულს გათამაშებას თობობდა. ხოლო, როცა მეტოქის მონოდება აიღო და მატჩის ორ სეტში მოგების რეალური შანსი გაუჩინდა, ანერვიულდა, 40:15-დან ზედიზედ ორი საკუთარი გეომი დათმო და სეტი 4:6 წააგო.

სტოსურს თითქოს ფრთები შეასხა ამ წარმატებამ, მაგრამ სტაბილურად მაღალი დონე ვერ შეინარჩუნა. კირილენკო კი არ დანებდა, თავის შანსს ექებდა და ბოლოს გაუმართლა კიდევ. მეხუთე გეომში რუსმა ბრეიკი გააკეთა, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მესამე სეტში - 6:2, 4:6, 6:4.

რუსი ჩოგბურთელის მონანილეობით კიდევ ერთ მატჩში დაფიქსირდა მოულოდნელი შედეგი. ანასტასია პავლიუჩენკოვამ მეორე სეტის ბოლოს რამდენიმე მატჩბოლის მოგერიება შეძლო ამერიკელი ვანია კინგის წინააღმდეგ, მაგრამ ვერც პარტია და ვერც მატჩი ვერ გადაარჩინა - 4:6, 6:7(6). კინგი მერვედფინალში პეტრა კვიტოვას შეხვედრა, რომელიც უიმბლდონის შემდეგ პირველად ეცდება ზედიზედ ორი მატჩის მოგებას.

სხვა მატჩებიდან გამოყოფთ კაროლინ ვოზნიაციუსა და აგნიშკა რადვანსკას გამარჯვებებს. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ტოკიოში ტიტულის დაცვა იარმილა გაიდოშოვასთან მატჩით დაიწყო. პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ კაროლინამ მეორე პარტიაში მატჩზე ჩანოდების უფლება მიიღო. მაგრამ წაგების ზღვარზე მისული გაიდოშოვა დამაჯერებლად ათამაშდა, ვოზნიაციუმ კი პირიქით, შეცდომების დაშვება დაიწყო. ორმაგი მატჩბოლის მოგერიების შემდეგ გაიდოშოვამ ტაი-ბრეიკამდე მიიღწია, სადაც ილბალი მის მხარეზე იყო.



მესამე სეტში ჩოგბურთელები დიდი ხანი თანაბრად მიდიოდნენ, მაგრამ 3:4-ზე იარმილამ თავისი გეომი ჩააგდო, ხოლო მიღებაზე სამი მატჩბოლის მოგერიება ვეღარ შეძლო. ვოზნიაციუ შემდეგ მატჩს კაია კანეპის წინააღმდეგ ჩაატარებს.

რაც შეეხება რადვანსკას, მან რევანში აულო ანჟელიკ კერბერს ამერიკის ლია პირველობაზე მარცხისთვის. პოლონელმა სამ სეტში გამარჯვება მოახერხა და მერვედფინალში სერობული მეტოქე ელოდება ელენა იანკოვიჩის სახით.

Table with WTA and Toray Pan Pacific Open tournament information, including location (Tokyo) and prize money details.

ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 11) - არანა რუსი (პოლ) 6:4, 6:3; აგნიშკა რადვანსკა (პოლ, 9) - მისაკი დიო (იაპ) - 6:1, 6:1; კაია კანეპი (ესტ) - ფლავია პენეტა (იტა) 3:6, 6:4, 6:4; ანა ივანოვიჩი (სერ, 12) - ანასტასია როდინოვა (ავსტრა) 6:4, 6:0; მარია კირილენკო (რუს) - ერიკა სემა (იაპ) 6:1, 6:0; ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) - ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:2, 6:4.

მარიონ ბარტოლი (საფ, 7) - აიუმი მორიტა (იაპ) 6:3, 6:6, 6:3; მარია შარაპოვა (რუს, 2) - ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:2, 7:5; ელენა იანკოვიჩი (სერ, 8) - ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:4, 6:2; ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3) - ირინა ბეგუ (რუმ) 6:1, 6:3; აგნიშკა რადვანსკა (პოლ, 9) - ანჟელიკ კერბერი (გერ) 3:6, 6:3, 6:3; ვანია კინგი (აშშ) - ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 11) 6:4, 7:6(6); პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5) - მენდი მინელა (ლეუ) 6:2, 6:3; ანა ივანოვიჩი (სერ, 12) - ლორა რობსონი (ბრიტ) 7:5, 6:4; ვერა ზვიონარევა (რუს, 4) - ცვეტანა პიროსკოვა (ბულ) 7:5, 6:0; ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) - დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 14:6, 6:2; მარია კირილენკო (რუს) - სამანტა სტოსური (ავსტრა, 6) 6:2, 4:6, 6:4; კაროლინ ვოზნიაციუ (დან, 1) - იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 6:1, 6:7(4), 6:3.

ვოზნიაციუ (1) - კანეპი; ა. რადვანსკა (9) - იანკოვიჩი (8); აზარენკა (3) - ზაკოპალოვა; პენგი (10) - ბარტოლი (7); კირილენკო-ივანოვიჩი (12); ბენეშოვა-ზვიონარევა (4); კვიტოვა (6) - კინგი; გორჯესი (13) - შარაპოვა (2).

გვირგვინი მოაგზავდა გაი თვალაპირვნილა

სხელი საზი

Table showing tennis player rankings for the US Open tournament, including names like Agnieszka Radwanska and Maria Sharapova with their respective scores.

Table showing tennis player rankings for the WTA tournament, including names like Maria Sharapova and Elena Dementieva.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Novak Djokovic and Andy Murray.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Rafael Nadal and Roger Federer.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Lleyton Hewitt and Sam Querrey.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Andy Murray and Novak Djokovic.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Roger Federer and Andy Murray.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Novak Djokovic and Andy Murray.

Table showing tennis player rankings for the ATP tournament, including names like Novak Djokovic and Andy Murray.

TV პროგრამა

Table detailing the TV program schedule for the 28th September, listing various tennis matches and their broadcast times on different channels like Eurosport and TV2.

